დოკ. №: 2407-061 ▪ თარიღი: 05.07.2024

საექსპერტო დასკვნა
მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

DEMASO WOOD 1

მისამართი: ***ქ. თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა N31-ის მიმდებარედ*** ▪
ს/კ: ***01.19.18.007.058*** ▪ *მესაკუთრე:* ***შპს "მშენებელი თბილისი 95"***
ფართობი: ***2569 მ²*** ▪ *შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა:* ***11***

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2024 წლის 5 ივლისს, ქ. თბილისში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩის N31-ის მიმდებარედ, შპს "მშენებელი 95"-ის საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.19.18.007.058 მიწის ნაკვეთზე, 11 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 11 მერქნიანი მცენარიდან 8 არის ჯანსაღი, 3 - ზეხმელი. მათ შორის:
- 10 ხილკენკროვანი (3 ზეხმელი) - 5 ლეღვი NN 3, 6, 7, 10, 11; 1 ვაშლი N 8; 2 ჭერამი NN 1 (ზეხმელი), 4 (ზეხმელი); 1 ტყემალი N 9 (ზეხმელი); 1 ბროწეული N 5
- 1 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (ჯანსაღი) - 1 იფანი N 2

2. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 3 არაჯანსაღი (ზეხმელი) მცენარე, კერძოდ:
- 2 ჭერამი (Prunus armeniaca) NN 1 (ზეხმელი), 4 (ზეხმელი)
- 1 ტყემალი (Prunus cerasifera) N 9 (ზეხმელი)

3. გადარგვადი მცენარეები. გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, არახილკენკროვანი სახეობებიდან გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს 1 შეფასებული მცენარე - იფანი (Fraxinus) N 2. მისი დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები.

მცენარეთა მახასიათებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ჭერამი (Prunus armeniaca)	26	19.1	7.5	ზეხმელი/ ხილკენკრ.
2	იფანი (Fraxinus)	4-8		2.5	საღი/ გადარგვადი
3	ლეღვი (Ficus carica)	21.3	14.3	6.0	საღი/ მრავალღეროიანი/ ხილკენკრ.
4	ჭერამი (Prunus armeniaca)	20.7	14.3	5.0	ზეხმელი/ ხილკენკრ.
5	ბროწეული (Punica granatum)	8-12		3.5	საღი/ ხილკენკრ.
6	ლეღვი (Ficus carica)	12-16		4.5	საღი/ ხილკენკრ.
7	ლეღვი (Ficus carica)	8-12		3.5	საღი/ ხილკენკრ.
8	ვაშლი (Malus domestica)	4-8		2.5	საღი/ ხილკენკრ.
9	ტყემალი (Prunus cerasifera)	4-8		4.5	ზეხმელი/ ხილკენკრ.
10	ლეღვი (Ficus carica)	20.7	10.5	4.5	საღი/ მრავალღეროიანი/ ხილკენკრ.
11	ლეღვი (Ficus carica)	12.7	8.0	3.5	საღი/ მრავალღეროიანი/ ხილკენკრ.

ექსპერტი: ლევან გოშაძე (01008013049)

შემსრულებელი:
შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

info@demaso.ge
(+995) 593 18 18 70

"DEMASO WOOD 1" * DEMASO WOOD 1 LTD * 400331716



№1



№2



№3



№4



№5



№6



№7



№8



№9



№10



№11